

განმარტებითი ბარათი  
„სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში  
დამატების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:  
კანონპროექტის მომზადების მიზეზია კონკრეტული სახეობის ფარმაცევტული პროდუქციის სარეგისტრაციო მოსაკრებლის არ არსებობა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი  
კანონპროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი  
კანონპროექტის თანახმად „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტს ემატება „დ1“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, გენერიკული და კვლავწარმოებული ფარმაცევტული პროდუქტის, სისხლის პრეპარატის ხელახალი რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით, განისაზღვრა - 200 ლარით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:  
კანონპროექტის მიღება არ იწვევს რაიმე დამატებით სახელმწიფო დანახარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:  
კანონპროექტის მიღება იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. ვინაიდან, გენერიკული და კვლავწარმოებული ფარმაცევტული პროდუქტის, სისხლის პრეპარატის ხელახალი რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით, განისაზღვრა - 200 ლარის ოდენობით. უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლის 15 ოქტომბრამდე აღნიშნული მოსაკრებელი არსებობდა, თუმცა საკანონმდებლო ხარვეზმა გამოიწვია გენერიკული და კვლავწარმოებული ფარმაცევტული პროდუქტის, სისხლის პრეპარატის ხელახალი რეგისტრაციის სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით გარკვეული დროით შეჩერება.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილზე:  
კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება დამატებითი საბიუჯეტო სახსრების გამოყოფას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:  
კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტით დგინდება გენერირება და კვლავწარმოებული ფარმაცევტული პროდუქტის, სისხლის პრეპარატის ხელახალი რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით 200 ლარის ოდენობით, შესაბამისად აღნიშნული იქონიებს გაელენას იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება იგი.

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტის თანახმად, გენერირება და კვლავწარმოებული ფარმაცევტული პროდუქტის, სისხლის პრეპარატის ხელახალი რეგისტრაციისთვის სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით განისაზღვრება მოსაკრებლის ოდენობა – 200 ლარი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის ..... მიმართება ..... საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი შეესაბამება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:  
ასეთი არ არსებობს

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:  
ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორია:

საქართველოს შრომის, ჯანმრელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორია

საქართველოს მთავრობა